

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში მიმდინარე წლის 10 აგვისტოს შემოვიდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს N677468 კორესპონდენცია 2021-2022 აკადემიური წლისთვის ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობის დაფინანსებით, საქართველოს მოქალაქეებისთვის გამოცხადებული კონკურსის შესახებ.

ჩეხური მხარის მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის გამოყოფილია 20 სტიპენდია ჩეხური (9) და ინგლისურენოვანი (11) პროგრამებისთვის შემდეგ სფეროებში: მშენებლობა, ფინანსები, სოფლის მეურნეობა, მათემატიკა, სტატისტიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, გარემოს დაცვა, ენერგეტიკა.

დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია თანდართულ ვებგვერდზე:

<https://www.msmt.cz/eu-and-international-affairs/government-scholarships-developing-countries?lang=2>

ზემოაღნიშნული ინფორმაციით დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ, მიაწოდოთ თქვენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს.

პატივისცემით,

წერეთელი ნინო (დეპარტამენტის უფროსი) - უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტი;